№ 87 აპრილი 27, ხუთშაბათი 1889 აპრილი ხუთშაბათი № 87

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

გაზეთის დასაკვეთად და ყურძო გასცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიგვმართოთ: ... ერელეინის ქერა, ბასტამიანის სახლი, 2 დ, ...

ლოგიურისა და ლინგვისტიურის მხრით აქაურ სიძველეთა შესწავლისაგან ევროპის მეცნიერება მოელის გამორკვევასა და ახსნას მრავალის დღემდე ბნელით მოცულის საგნებისასო. ამიტომაც ამისთანა დიდ-მნიშვნელოვან მხარეს მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მიაქცია თავისი განსაკუთრებული ყურადღებაო. თვით მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ეს საზოგადოება მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და მის უდიდებულესობისვე ნება-სურვილითა და საფასით იგი საზოგადოება შეუდგა საქართველოს და სრულიად კავკასიის სიძველეთა შესწავლას. პროგრამაში აგრეთვე მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები შესახებ იმ მასალისა, რომელიც საზოგადოებამ უნდა შეჰკრიბოს და შეისწავლოს. ეს საგნებია: მონასტერ-ტაძრები, ძველი ხელ-ნაწერნი, საფლავები, ფულები, გამოქვაბულნი, სამკაულ-იარაღი და სხვა-და-სხვა. პროგრამაში სანიმუშოდ ჩართულია სხვა-და-სხვა ყაიდის შენობის სურათი, მაგალითად, ურბნისისა, ზუგდიდისა, დრანდის, შუა-აზიის, მეტეხის (ტფილისში) ტაძრებისა და აგრეთვე გეგმანი სხვა-და-სხვა ეკკლესიებისა: ოპიზისა, მცხეთის სამთავრო ეკკლესიისა და სხვათა. აგრეთვე დაწვრილებით ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გადმოღება უბრალო ქაღალდზე ტაძრების წარწერებისა, ლურსმურ წერისა და სხვ. ამისათვის საჭიროა ჯერ წარწერა კარგა დაასველონ, თუ შეიძლება, გარეცხონ, მერე ზედ დაადონ დასველებული თეთრი ქაღალდი და კარგა დასტკეპნონ ხელით, ან შოტკით. ქაღალდი ზედვე რომ შეშრება, ზედ მთელი ნაწერი ყოველის მისის წვლილით გადმოვა.

*** პატივცემულს ბ-ნ ვ. ნ. გეევსკის წერილში: „О состояніи скотовод. въ верховьяхъ рѣкъ Терека и Бѣлой Арагвы“ (საქონლის მოშონება თეთრის არაგვისა და თერგის სათავეებში) მოყვანილია მრავალი ცნობა შესახებ მოხევეთა ყოფა-ცხოვრებისა, მათის ადგილ-მდებარეობისა და სხ.

აღნიშნული ქვეყანა ფრიად მაღალი, ცივი და ყინვიანი ადგილია. უმდაბლესი წერტილი ამ ქვეყნისა 4,000 ფუტით ზღვაზედ უმაღლესია, ზოგიერთგან-კი 8-თაც. ხშირად ივლისის გასულსაც ყინვებს დაიჭერს და ხანდახან შუა ზაფხულში თოელსაც დასდებს ხოლმე, როგორც, მაგ., 1883 წ. დათოვა 5-ს მარიამობისთვეს. ამისთანა შენობის გამო ქვეყანა მკვნარეობით ფრიად მწირია, ჯაგნარი ტყე აქა-იქ აკრავს აქაურს ველებსა და ფერდობებს. ბალახი-კი მოდის მშვენიერი. შეშის მაგიერ ხალხი საზოგადოდ წივას ჰხმარობს ურემი წივა 2—3 მან. ფასობს. ხალხი უფრო საქონელს ეტანება. მართალია, აქ ქერსა და დიკასაც სთესენ, მაგრამ მცირედ. მცხოვრებნი რვა საზოგადოებად განაწილებულნი არიან (აბანოსი, კობისა, სიონისა, სნოსი, სტეფან-წმიდისა, კაიშაურისა, ქვემო-მლეთისა და ნადარბაზევისა) და სულ 13,187 სულია, მათ შორის 9,659 ქართველი, 3,211 ოსი და 317 ქისტი, ასე რომ თერგის ხეობაში ერთს ოთხ-კუთხ ვერსზე მოდის 629 სული. ესეთი მოსახლეობა ხშირი არ გვეჩვენება, თუ მოვიგონებთ, რომ ამოდენსავე სივრცეზედ შვეიცარიაში ბინადრობს 15,000 სულიო.

შინაგან პირუტყვთაგან აქ ინახავენ ცხვარსა და ხარ-ძროხას. ცხვარი ჰყავთ სულ 100,000 თავი და ხარ-ძროხა-კი 7,550, ასე რომ საშუალო რიცხვით თითო მეკომურზე მოდის სამი სხვილ-ფეხა საქონელი და 40-მდე წვრილ-ფეხა. ცხვარი იყიდება $2^1/_2$—$3^1/_2$ მან., ხარი 25—30 მ., ძროხა-კი 15—20 მან. ზამთრობით თერგის ხეველები თავის საქონელს მიერეკებიან კავკასიონის გადაღმა ყიზლარისაკენ, ხოლო თეთრ-არაგველები მტკვრის ხეობისაკენ, ქსანზედ და სხ. ქირა ზამთრის იალაღებისა (ენკენისთვედამ აპრილამდე) არის: თერგის მხარეს 8—12 მან. ასს თავს ცხვარზე და მტკვრის ხეობაში-კი 5—10 მანათი. აქაური ძროხა კარგის ჯიშისაა, ბევრს იწველის და გემრიელი ხორცი აქვს. ცხვარიც აგრეთვე. მატყლს ჰპარსავენ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. გაზაფხულის ერთი კანძი მატყლი ჰფასობს 25—30 კაპ., შემოდგომისა-კი 35—40 კაპ.

ყოველ წელს მატყლს ჰპარსავენ 8,200 ფუთამდე. ფუთი ადგილობრივ ფასობს 4—5 მანათამდე, ტფილისში-კი რომ მოაქვთ, ჰყიდიან 6 მ. 50 კაპ. 7 მან. 50 კაპეკამდე. 1886 წ. ტფილისში ჩამოიტანეს და გაჰყიდეს 6,000 ფუთი მატყლი. აქაური მატყლი მიაქვთ საფრანგეთსა და ბელგიაშიაც, სადაც ერთ ფუთს კარგს მატყლში იძლევიან 137—140 ფრანკს, ანუ ფუთში 9 - 9 მან. 18 კაპ. ტფილისის ფასით აქაურის მატყლის ყოველ-წლიური შემოსავალი იქნება 57,400 მან., ანუ სულზე 44 მანათამდე. აქაური ყველიც კარგს ფასად გადის. ფუთი ყველი იყიდება ადგილობრივ 5—7 მანათამდე, კავკავში-კი 7—9 მან., ასევეა ტფილისშიაც. დაახლოებით წელიწადში აკეთებენ 2200—2500 ფუთ ყველს, მაშასადამე, საშუალო რიცხვით 20,000 მანეთისას. აქაური ერბოც მშვენიერი თვისებისაა. ერბო ტყავის გუდებით მიაქვთ ქალაქში, დუშეთში და კავკაზს და ჰყიდიან ფუთს 8—12 მან.

◆◆

სასამართლოს მატიანე *)

(აზნ. წინამძღვრიშვილის საქმე)

კაუბ-სალა-ოღლი. (თავმჯდომარის კითხვაზედ) ქართული ლაპარაკი სულ არ ვიცი, რუსული მესმის, მაგრამ ვერა ვლაპარაკობ.

წინამძღვრიშვილი. (თავმჯდომარის კითხვაზედ) თათრული ენა სრულიად არ ვიცი.

იოსებ ტომაშევსკი. ერთი მკელელთაგანი ჩემ მიერ იჯარით აღებულს სახლში დაბატიმრეს. ამ სახლში იდგა ვღაც ქეთევანი, რომელიც ფავლენიშვილისად იწოდებდა თავს. ამ ქალთან ხშირად დადიოდნენ პოლიციელები. ერთს ნაცნობს პოლიციელსა ვკითხე, ვინ არის ეგ ფავლენიშვილისა-მეთქი, და ასე მითხრა, რომ ქვრივია, მეტად პატიოსანი ადამიანი და უზნეობისა ნურა გეფიქრებია-რაო. ფავლენიშვილისად იწოდებდა თავს თითონ, ხოლო ბოლოს გავიგე, რომ შუბლაძისაც ეგ იყო. ამ ქალთან ყველა ნაირი ხალხი დადიოდა, მღვდელიც, პოლიციელიც და ათასი კიდევ სხვა საქმეო და არა-სანდობი ადამიანი. ერთს შემთხვევას შევესწარი და მაშინ გამოვირკვიე აშკარად შუბლაძის ქვრივის ვინაობა. ეს შემთხვევა ის გახლდათ, რომ მაგ დედაკაცის სახლიდგან ვიღაც ქმრიანი ქალი გამოიყვანა ჩხუბით ქმარმა, თურმე მაგისას იფარავდა თავს. რაკი ესა ენახე, იმ აზრს დავადექი, რომ შუბლაძე კაცებსა და ქალებს არიგებს-მეთქი. წინამძღვრიშვილი და შუბლაძისა პირველად ენახე ყაზახჩევის დაპატიმრების შემდეგ და მეორედ კიდევ მეორე დღეს. მეორედ შესული არ მინახავს, გამოსული-კი დავინახე ისა და ქალი ერთად, შუბლაძისა აცილებდა. სახლს ოცს ნაბიჯზედ გასცდნენ და კარგა ხანს ლაპარაკობდნენ დილა ადრიანად. ლაპარაკი არ გამიგონია, რადგან მეტად შორს ვიდექი, ის იყო ავდექი, ჩემის ოთახის ფანჯრიდგან დავინახე.

ნატო ძიძაჯ. წინამძღვრიშვილებთანა ესცხოვრებდი. იმათს სახლში ყოველთვის უსიამოვნება იყო, ცოლი ეჩხუბებოდა ხოლმე, მაგრამ ქმარი ხმას არა სცემდა. ქალი ხშირად დადიოდა მარტო, არ ვიცი-კი სად დადიოდა. სულ ერთი თთვე ესცხოვრებდი იმათსას, ცალკე ოთახი მეჭირა. ამ ხნის განმავლობაში გვიან არას-დროს არ დაბრუნებულა, ერთხელ მთვრალი მოვიდა სახლში. ქალთან ერთი ქალია მეორეული კაცი დაიარებოდა, არ ვიცი-კი ვინ იყო. ოლგა თეოდორეს ასული ავად იყო. ერთხელ შეესწარი, რომ წამლები ეჭირა ხელში და მაშინვე დამალა, დამინახა თუ არა, არ ვიცი რითი იყო სნეული სიმთვრალის დღეს მჭედლიშვილს წაეჩხუბა და ის მოუდო მიზეზად, რომ ჩემი ავეჯი, რომელიც თქვენს ოთახში აწყვია, ცუდად გაქვსთ მოვლილი და მიფუჭდებაო. ამ მიზეზითვე გადავედით იმათ სახლიდგან. მე მჭედლიშვილთან ვსცხოვრებდი.

იოსებ მაღადოვი. რვის ნახევარი ყო, ქართულს თეატრში ვეპირებდი წასვლას. არტემა და შუბლაძეც დავპატიჟე, მაგრამ არ წამოვიდნენ. ყაზახჩევმა მითხრა, რომ ერთი რაღაც «სასაცილო» საქმე მაქვს და ის უნდა გავაკეთოო. შუბლაძე და ყაზახჩევი ერთად იყვნენ, ერთად სცხოვრებდნენ. იმ საღამოს ძალიან აღელვებულნი იყვნენ და ეტყობოდათ, რომ რაღაც საქმე უნდა ჰქონოდათ. შუბლაძისას სულ საეჭვო ხალხი დადიოდა, ჩემი ძმისწული სცხოვრებდა იქა და ეს მყოფდა იძულებულს მეც მევლო. პირველად რომ შეჰხვდნენ წინამძღვრიშვილი და შუბლაძე ერთმანეთს, მეც იქ ვიყავი, ემჩნეოდათ, რომ უცნობნი იყვნენ და მხოლოდ იმ დღეს ენახათ ერთმანეთი. შუბლაძისამ უთხრა, რომ არც შენ გიცნობ და არც შენს ცოლსაო. ხშირად დავდიოდი ქეთევანთან, მაგრამ ერთხელ არ მინახავს ბრალდებული იმათს სახლში. წინამძღვრიშვილმა მთხოვა, რომ შემიტყე ვინ არის ჩემის ცოლის მკელელი და, თუ ყაზახჩევია ეს კაცი, რად მოჰკლაო. როცა შუბლაძისამ განაცხადა, რომ არტემა 8 სექტემბერს მთელი საღამო სახლში იყოვო, მე ვუთხარი, რად ამბობ მაგას, როცა იმ საღამოს ჩვენთან წავიდა მეთქი.

ნიავარ! ჩემი ნება და ქეიფია, რომ ყოველს საგანს მისივე ნამდვილი სახელი ეუწოდო. ქალი როდი გახლავარ და ჩვეულებად მაქვს, რომ პირდაპირ გამოვსთქვა ჩემი აზრი. მაშ ნუღარ ინებებთ და ნუ ჰყვირით!

ფერაძისა. მე-კი არ ვყვირი, თქვენ ყვირით! აღარ მომასვენებთ, ბატონო, და აღარ დამანებებთ თავს!

გვრიტ. მომეცით ჩემი ფული და წავალ.

ფერაძისა. ხომ გითხარით, ვერ მოგცემთ-მეთქი.

გვრიტ. მომცემთ, თუ კაცი ვარ.

ფერაძისა. აბა თუ ესეა, თქვენს ენაზე ერთს ფარასაც ვეღარ მიიღებთ! ვისათ მოგართმევეთ! გთხოვთ, დამანებოთ თავი, მოსვენება მეჭირება.

გვრიტ. მე არც თქვენი ქმარი გახლავარ და არც თქვენი საქმრო და ამიტომ თქვენის ენინისა და უქეიფო გუნების არაფერი მეცოდინება (ჯდება).

ფერაძისა. (ჭშინაგს გაცეცხლებული). ჯდებით?

გვრიტ. დიაღ, ეჯდები.

ფერაძისა. გთხოვთ, რომ მიბძანდეთ!

გვრიტ. მომეცით ფული... (იჭით) ეჰ, რა გულზე ვარ, რა გულზე!

ფერაძისა. თავ-აგდებულ კაცთან ლაპარაკის რა მოგახსენოთ! ერთხელ კიდევ გთხოვთ, რომ მიბძანდეთ აქედამ (სიხუმეა ტოტა ხანს). არ გახვალთ? არა?

გვრიტ. არა.

ფერაძისა. არა-მეთქი?

გვრიტ. არა!!

ფერაძისა. მაშ კარგი! (ჭრეკს ზარს, შემოდის ვარდისახარ) ვარდისახარ, უთხარი, რომ გაიყვანონ აქედამ ეს ვაქბატონი!

ვარდისახარ. (გვრიტიაშვილს) ინებეთ, ბატონო, და გაბრძანდით, ნუღარ...

გვრიტ. რაო? ვინაა ჩემი გამყვანი? ეის უბედავ ლაპარაკს! არავინ მომეკაროს, თორემ სულ გუფთასავით ავკეფავ, მამიჩემის სული ნუ წამიწყდება!..

ვარდისახარ. (გულზე იტაცებს ხელს) ვაიმე! წმინდაო გიორგი!.. ქალწულო მარიამ!.. (დაეცემა ტახტზე) მოვკვდი, შენი ჭირიმე, მოვკვდი, აღარა ვარ! გული მიმდის!

ფერაძისა. ზურაბი სადღაა? (ჭყვირის) ზურაბ! სოფიო! მაკრინე! (ჭრეკს ზარს).

ვარდისახარ. ვაი, დედავ!.. ყველა ტყეში წავიდა სოკოს საკრეფად, შინ აღარავინ დარჩენილა... გული მიმდის, წყალი!

ფერაძისა. გაბძანდით აქედამ, მოგვშორდით!

გვრიტ. რომ მაგდებთ, თქვენი ყმა ხომ არა ვარ: ზრდილობაც კაი საქონელია!

ფერაძისა (გაანჩხლებული აბრასუნებს ფუსებს). თავს იგდებთ! უზრდელია ხართ და ბრიყვიც! ტყიდამ გამოვარდნილი ნადირი ყოფილხართ! დათვი! ეშაპი!

გვრიტ. რაო? რა სთქვით?

ფერაძისა. ისა ვსთქვი, რომ თავს იგდებთ, დათვი ყოფილხართ, ეშაპი-მეთქი!

გვრიტ. (შეტევით) როგორ თუ დათვო და ეშაპი! ვინ მოგცათ ჩემის გალანძღვის უფლება?

ფერაძისა. დიაღ, გლანძღავთ... მერე რაო? მეშინია თქვენი, თუ როგორ გგონიათ?

გვრიტ. თქვენ-კი როგორ გგონიათ: რაკი ქალი ვებძანდებიო და წარბებს გუნდა-ლახუსტაკით ვიღებავ, მაშ სხვისი გალანძღვაც უნდა შემრჩესო? არა? მამიჩემის სული არ წამიწყდეს, ჩემი გალანძღვა მე არავის შევარჩინო! ქალიო! რას მიქვია ქალი! იარაღმა გაგვასწოროს, იარაღმა!

ვარდისახარ. წმინდაო გიორგი.. ქალწულო მარიამ... წყალი!..

გვრიტ. ხმალ-და-ხმალ გამობძანდით, ბატონო, ხმალ-და-ხმალ!

ფერაძისა. ვითომ-და რაო: ლონიერი მუშტი მაქვსო და კამბეჩივით ხმა, მაგით გგონიათ შემაშინებთ? ჰა? თქვე გაუთლელო მორგვო, თქვენა!

გვრიტ. ხმალ და ხმალ გამობძანდით-მეთქი, ხმალ-და-ხმალ! ქალიო, სუსტი არსებაო!.. რას მიქვია ქალი და სუსტი არსება! მე არავის შევარჩენ ჩემს გალანძღვას!

ფერაძისა. (სცდილობს ჯობოს ყვირილში) დათვი ხართ! დათვი! დათვი!

გვრიტ. ახლა ხომ ყველას მაინც ის აკერია პირზე, ქალი და კაცი ერთიაო, სწორი ვართო!.. დიაღაც სწორი ვართ! ქალიაო და იმიტომ უნდა შევარჩინო გალანძღვა? თქვენც არ მომიკვდეთ! თუ თანასწორობაა, იყოს აბა თანასწორობა! ხმალი-მეთქი!

ფერაძისა. ხმალში მიწვევთ საბრძოლად? ბატონი ბძანდებით!

გვრიტ. ახლავე!

ფერაძისა. ძალიან კარგი! ახლავე გამოვიტან ჩემის ქმრის ხმალს... (მიდის კაჩქარებით და მობრუნდება). რა სიამოვნებით გაგიპობთ შუაში მაგ უტიფარ შუბლს! ქალიმც არა ვყოფილვარ, თუ არ აგისრულეთ! (გადის).

გვრიტ. წიწილიავით წავაგდებინებ თავს! გავაქრობ, შენი მტერი გამ ქრალა! მე არ გამაჩნია სუსტი და მზეთუნახავი: ბავშვი ხომ არა ვარ, რომ მაგით გული ამიჩეილდეს!

ვარდისახარ. (კედრებით) ბატონო, შენი ჭირიმე... (მუხლებზე დაუჩოქებს) შენის სახელის, შენის მუხლის ჭირიმე! გეიყავი სიკეთე, შემიბრალე მოხუცი, მოგვშორდი აქედამ! ისეც შიშით დაგეხოცე და ახლა კიდევ ხმლით გინდა ამოგვწყვიტო!

გვრიტ. (არ უგდებს ყურს) თუ გული გეჭიროს, ქალბატონო, და თანასწორიც ვართ, ხმალში გამობძანდი... დიაღ, ხმალში!.. აქ ორივე ერთი ვართ, კაცი იყო, გინდ ქალი! წავაგდებინებ თავს, მე ნუ მოვკვდე. მაგრამ რა ქალი ყოფილა, თქვენი ჭირიმე! (ჯჯავრებს) „ქალიმც არ ვყოფილვარ... შუაში გაგიპობთ მაგ უტიფარ შუბლს“!.. ძალიანაა, თქვენ ნუ მომიკვდეთ! ენინელივით გაწითლდა, თვალები უბრწყინავს... ხმალში გამოვითხოვე და გამოვიდა! ჩემს მზეს ვფიცავ, პირველად ვხედავ მაგისთანა ქალს!..

ვარდისახარ. ბატონო, შენი ჭირიმე! მოგვშორდი, გადღეგრძელებს ღმერთი

გვრიტ. აი, ქალი თუ გინდა, ესაა! სწორეთ რომ ქალი ყოფილა! დომხალი და ლობიო როდია: თოფის წამალია, ცეცხლია, ცეცხლი! მოკვლაცკი მენანება!

ვარდისახარ. (სტირის) ბატონო, შენი ჭირიმე... მოგვშორდი!

გვრიტ. მომწონს სწორეთ ის ქალი! დიაღ, რაღა ბევრი გავაგრძელო, მომწონს! მართალია, ფერიც აცხია და უმარილიც, არც გუნდა-ლახუსტაკი აკლია, მაგრამ, თქვენ ნუ მოუკვდეთ ბაატას, მაინც მოსაწონია! გულმაცკი გადმიარა... გასაოცარი ქალია!

IV

გვრიტიაშვილი, ვარდისახარ და ფერაძისა.

ფერაძისა. (შემოდის და შემოაქვს

შუბლაძისა. რუსული არ ვიცი. არც მოკლულს და არც მოკლულის ქმარს არ ვიცნობდი, მაგ უბედურ შემთხვევამდე არც-კი გამეგონა იმათი გვარი. ყაზახჩევი ჩემი მოსამსახურე იყო, მე ის არც საპატიმროდგან გამომიყვანია და არც თავდებად დავდგომივარ. ან ვინ მიიღებდა თავდებად ჩემისთანა ღარიბს ადამიანს. მკვლელობის ამბავიც-კი არ ვიცოდი, მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ყაზახჩევი დააპატიმრეს იმ უბედურს დღეს 9 საათამდე მელვიძა, სტუმრები მყავდა. ნაადამყოფარს წამეძინა და მხოლოდ თერთმეტს საათზე გამომელვიძა. ძილის წინადაც და გამოღვიძების დროსაც ყაზახჩევი შინ იყო და ოთახებში ტრიალებდა. იქნება ძილის დროს წავიდა სადმე და ისევ უკან დაბრუნდა, არ ვიცი. ამ დროს ჩემთან სტუმრებად იყვნენ მაღალოვი, აწ გარდაცვალებული გარაყანიძე და კიდევ სხვა ქალებიც. არ გამიგონია, მაღალოვმა აძლია თუ არა თეატრის ბილეთი ყაზახჩოვს. არც ის მახსოვს, მითხრა თუ არა, რომ რადა სტყუი, ყაზახჩევი ჩვენ თვალ-წინ არ წავიდა სახლიდგანაო. იქნება მითხრა, ყურადღება არ მიმიქცევია.

თ. იდიაშვილი. ოლგა წინამძღვრიშვილის სიკვდილისა არა მახსოვს-რა. იქვე ზემო სართულში ქაღალდსა ვთამაშობდი უეცრად ყვირილი შემოესმა, ჩავირბინე ქვემოდ და საზარელი სურათი წარმომიდგა: ოლგა თეოდორეს ასული დედამიწაზედ იდო და სისხლი სდიოდა, იატაკზე სისხლის გუბე იდგა. რამდენადაც შემეძლო შემენიშნა ღია კარებიდგან და ფანჯრებიდგან გაელა-გამოელის დროს, სახლი ყოველთვის კარგადა ჰქონდა დალაგებული. განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია იმათის ცხოვრებისათვის, რადგან ძალიან თანხმობითა სცხოვრობდნენ. ხმა დადიოდა, რომ პირველი ავაზაკი გაიქცა და დაიჭირესო, მეორე-კი—მკვლელი ხალხის თავ-მოყრის დროს იქავე სხვა ოთახში იმალებოდა. იქვე ამბობდნენ, რომ ერთი ავაზაკი შკაფშია დამალულიო, მაგრამ ყური არავინ უგდო ამ ხმას. გოგო კარგად უნდა იცნობდეს მკვლელს.

ვლად. მასარაძე. დავდიოდი წინამძღვრიშვილებთან, ძალიან მშვიდობიანად სცხოვრებდნენ, იმათი ჩხუბი არ გამიგონია და არც ჩემს იქ სტუმრობაში შემინიშნავს რამე.

მარია ბედკანისა. ამ მკვლელობისა არა ვიცი-რა. იმათს სახლში დავდიოდი, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ჩხუბისა არა გამიგონია-რა. რამდენადაც ამ ხან მოკლე სტუმრობის დროს შევნიშნე, ოლგა თეოდორეს ასული კარგი დიასახლისი იყო და სახლ-კარი ყოველთვის მოვლილი ჰქონდა ხოლმე.

მამაკაცი. მე მარტო ის ვიცი, რომ გამომძიებელს თან წავყევი და იმასთან ერთად სომეხი არტემა დავაპატიმრეთ. ამას შემდეგ წინამძღვრიშვილმა მკითხა, სადა სდგას შუბლაძისაო. წავიყვანე და ვაჩვენე. გზაზედ, კარებთანვე, მაღალოვი შემხვდა, თან გამოგვყვა და რომ შეეყვანე, შუბლაძისამ იკითხა: ვინ არისო. მე ვუთხარი, რომ ის წინამძღვრიშვილია, რომლის ცოლიც მოჰკლეს-მეთქი. როგორც ეტყობოდათ, წინამძღვრიშვილსა და შუბლაძისას მანამდე არ სცნობოდათ ერთმანეთი.

ნინო სოსელიასა. ამ საქმისა არა ვიცი-რა. ტერ-სტეფანოვის სახლებში ჩვენთან მდგმურად იდგა წინამძღვრიშვილი და იქიდგან ვიცნობ. მაგათის ჩხუბისა არა გამიგონია-რა.

ეკგენი სტალინსკი. ვიცნობდი ორივეს და იმათ სახლშიაცა ვყოფილვარ ძალიან ხშირად. სამაგალითო ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ფიქრადაც არ მომსვლია, თუ იმათს ოჯახში ასეთი უბედურება დატრიალდებოდა. ბრალდებული მაგარს სასმელს არ ეკარება, მშვიდობიანის ხასიათის კაცია და თამბაქოს არ ეწევა. ცოლიც ერთი საუკეთესო დიასახლისთაგანია. ჩემის აზრით, აქ ვიღაც მეოთხე ადამიანი უნდა იყოს საქმეში ჩარეული. ხმა დადის, რომ ეს მეოთხე ადამიანი სამხედრო წოდების კაცია, ქალმა თავი დაანება და ამის ჯავრი იყარაო. თუ არ ამ მარით, სხვაჯრივ არ მესმის, რად უნდა დატრიალებულიყო ასეთი უბედურება. ტროცკიმ მითხრა, რომ წინამძღვრიშვილის ცოლს ფეხზედ ავის ზნის წყლული აქვსო.

ნინო კუჩიკოვისა. მკვლელობისა არა ვიცი-რა. ოლგა ხშირად დადიოდა ჩვენსა და ქმარზე-კი არა უჩიელია-რა. ორშაბათს იყო ჩემასა, დამპირდა სამშაბათსაც მოვალო, მაგრამ აღარ დაიცალეს.

პოლიც. დესტერეკი. იმ ღამეს პოლიციაში ვიღაც დაპატიმრებულსა ვდარაჯობდი. პოლიციის კარებთან თვით წინამძღვრიშვილი იდგა. ამ დროს შემომესმა ყვირილი, გამოვარდი და შეეიტყე, რომ წინამძღვრიშვილის ცოლი მოეკლათ. რამდენსამე ხანს შემდეგ სალა-ოღლი მოიყვანეს და იმისი დარაჯობაც მე მომანდეს. პოლიციელმა მაკაროვმა მითხრა იმ ერთის თვის წინათ, რომ წინამძღვრიშვილმა გამიჭირა საქმე, ვიღაც ქალთან—ალბად თავისს საყვარელთან — ჩუღურეთში სულ მე მგზავნის ყვავილებისა და წერილების მისატანადაო. ერთხელ ჩემთან მისცა წინამძღვრიშვილმა წერილი წასაღებად. ისიც გავიგე მაკაროვისაგან, რომ წინამძღვრიშვილის საყვარელი რუსი არ არის, აბ სომეხი იქნება, ან ქართველიო.

არ მოვიყვანთ ჩვენებას იმ მოწმეებისას, რომელთაც საყურადღებო არა უთქვამთ-რა.

ამითი გათავდა სასამართლოს სხდომა 24 აპრილს.

სამშაბათს, 25 აპრილს, წინამძღვრიშვილის საქმის განხილვა სასამართლომ ბრალმდებელის სიტყვით დაიწყო. ბრალმდებელმა უპირველესად ბრალდებითს ოქმში დასახელებულ გარემოებათ მიაქცია მოსამართლეთა ყურადღება და სულ ორი სამი გარემოება აღნიშნა ახალი. ი რა სთქვა დაახლოებით:

ბევრს არას ვიტყვი ამ საქმისას. ამ საქმეში ერთი მოწმეა ყველაზედ საგულისხმიერო და საყურადღებო—ეს მოწმეა მაიორალდოვი, რომლის წყალობითაც ავაზაკობა გამომძღავნდა და სასამართლომ ბოროტ-გამზრახველთ ხელი წააღო. პირველში ამ მოწმის მიერ დაჭერილმა ეიუბ-სალა-ოღლიმ უარი სთქვა და მხოლოდ მეორე დღეს უთხრა გულ-ახლით პოლიციელს საკანელსა და ბოქაულს თ. ერისთავს, რომ მე ჩავიდინე ეგ ავაზაკობა ყაზახჩევთან ერთად, რომელმაც მითხრა: წინამძღვრიშვილი 200 მან. დაგვპირდა ამ საქმის გაკეთებისათვისაო. ამასვე ამტკიცებს ეიუბ სალა ოღლის ჯიბეში ნაპოვნი ბარათი: „ფულს ამ თავით არ გვაძლევენ, ხვალ დილაზედ მოგცემთ 200 მანეთსაო“. როცა არტემ ყაზახჩევი დაიჭირეს შუბლაძისას და პირში წაუყენეს, ეიუბ-სალა ოღლიმ იმასთან განიმეორა, რომ ეგ იყო ჩემი ამხანაგიო. ყაზახჩევმა უარი სთქვა და სალა-ოღლიმ თავისის ყაზახჩევთან ნაცნობობის მოწმედ როზა პახმანი დაასახელა, რომელთანაც მკვლელობის წინა დღეს ლუდი დაელიათ ერთად. ბოლოს ყაზახჩევიც გამოტყდა, სთქვა: მართალია, მეც ვერიე მაგ საქმეში, მკვლელობამდე ვიყავით წინამძღვრიშვილისას და სახლი გავსინჯეთო. ეს გარემოება დაასაბუთა პოლიციელის ობლოგინის ჩვენებამაც, რომ 7 სექტემბერსა ვნახე კრუზენშტერნის ქუჩაზედ ორივე ბრალდებული და გავფანტეო. აშკარაა, ეიუბ-სალა-ოღლი მართალს ამბობს და იმის ნალაპარაკევში ეკვესაც ვერავინ შეიტანს. სხვათა შორის მაშინ ეიუბ-სალა-ოღლიმ სთქვა, რომ მიხვილ წინამძღვრიშვილმა მოგვისყიდა, 200 მან. დაგვპირდა და მე ათი თუმანი უნდა მიმეღო; ფალაგოდ ვიყავ და დავთანხმდი. [illegible] მძღვრიშვილს ჯკითხე გამოძიებაში, სთქვა, რომ კარგად არ ვიცნობ ყაზახჩევს, შევეფდრიეარ და პატიესაცა ვცემო. რათაო, ამისი აღარა განუცხადებია. საქმე იმაშია, რომ ყაზახჩევი ერთის კვირის წინად ყოფილა წინამძღვრიშვილთან და ულაპარაკია. ესევე დაამოწმა თავისის ჩვენებით გვინანემ, — კარგა ხანს ილაპარაკეს გარეთაო.

ყველა ამ მოწმეთა ჩვენებით აშკარად არის დამტკიცებული, რომ მკვლელობამდე ერთის კვირის ადრე არტემ ყაზახჩევსა და წინამძღვრიშვილს რაღაც საქმე ჰქონიათ. ამითი მტკიცდება, რომ წინამძღვრიშვილიცა რეულა ამ საქმეში, მკვლელებთან მოლაპარაკება და თათბირი ჰქონია ავაზაკობამდე და მართლაც სდომებია თავისის ცოლის სიკვდილი. ეს ამბავი უფრო თვალ-ნათლად დადგინდა გამოძიების დროს, როდესაც ყაზახჩევმა აღიარა, რომ ქმარი მე და ეიუბ-სალა-ოღლის 200 მანათის მოცემას დაგვპირდაო. როგორც ჰქედავთ, ამ საქმეში პირველი დამნაშავე თვით წინამძღვრიშვილია, ის აქეზებს და ხელს უმართავს ავაზაკთ, რომ ცოლი მოუკლან, და ამისათვის ფულსაც-კი ჰპირდება ამ ჩვენს აზრს კარგად ასაბუთებს ის გარემოება, რომ წინამძღვრიშვილს სდომებია პოლიციელი ობლოგინი მოეშორებინა თავისის სახლისთვის. მართლაც-და წარმოიდგინეთ ის ადგილი, სადაც ბრალდებული სცხოვრობდა, და აშკარად დაინახავთ, რომ უწინამძღვრიშვილოდ აქ საქმე არ გაკეთდებოდა. კრუზენშტერნისა და გრიბოედოვის ქუჩაზედ მთელი საღამო ადამიანის ფეხის ხმა შეწყვეტილი არ არის, ამ ქუჩაზედვეა პოლიცია და პოლიციელი ყოველთვის აქ სდგას დარაჯად, ქვემოთკენ, სულ ორმოცს ნაბიჯზე, გოლოვინის პროსპექტია, მეტად სანთიანი სასეირნო და ყოველთვის განათებული ქალაქის შუა-გული ადგი-

---

ხმალი) აი, ხმალიც აქ გახლავსთ.. მაგრამ, სანამ გავიდოდეთ საბრძოლველად, ერთი გაისარჯეთ და მაჩვენეთ, თუ როგორ უნდა ხმალს ხმარება... ჩემს დღეში არ მჭერია ხელში ხმალი.

ვარდისახარ. წმინდაო გიორგი, შენ დამიფარე... წავიდე, ბიჭებს მაინც დავუძახო... რა ცოდვამ დაგვატეხა თავზე ეს ვაი-უშველებელი! (გადის).

გვრიტ. (სინჯავს ხმალს). საუცხოეთა! მშვენიერი ძველებური ნაკეთობა გახლავსთ, ხვარასნული ფოლადია... ერთ ჯარად ელირებოდა უწინ! ხმალი აი ასე უნდა გეჭიროსთ ხელში... (იქით) რა თვალებია, გამჩენო, რა თვალები! დაგწვავს და დაგხრუკავს!

ფერაძისა. ასე?

გვრიტ. დიაღ, ასე... აი, ამ გვარად თუ მოიქნევთ, ძალა არ ექნება.. რაც უფრო ლონიერად მოიქნევთ, უკეთესია... ნუ აჩქარდებით, ნუ ცხარობთ! მაგრად დაიჭირეთ და მარჯვედ მოიქნიეთ, ხელი არ აგიკანკალდესთ.

ფერაძისა. კარგი... აქ, ოთახში, არ ვარგა და არ მემარჯვება ხმლის ტრიალი; ბაღში წამობძანდით.

გვრიტ. გიახლებით, მაგრამ წინადაწინვე უნდა გამოგიცხადოთ, რომ არ ვიხმარ თქვენზე ხმალს.

ფერაძისა. ეს კიდევ რაღაა! ეითომ-და რატომაო?

გვრიტ. იმიტომ-რომ... იმიტომ-რომ... ის მე ვიცი, რატომაც!

ფერაძისა. შეგეშინდათ? არა? ა-ა-ა!.. არ იქნება, ეხლა ველარ წამიხვალთ! წამობძანდით, ბატონო, მე თქვენ გეუბნებით! ველარ მოვისვენებ, სანამ შუაში არ გაგიბობთ შუბლს... აი მაგ შუბლს, რომელიც ასე მძულს! შეგეშინდათ?

გვრიტ. დიაღ, შემეშინდა.

ფერაძისა. ტყუილს ამბობთ! რატომ არ გამოდიხართ ხმალში?

გვრიტ. იმიტომ-რომ... იმიტომ-რომ... მომწონხართ!

ფერაძისა. (გულ-ავად იცინის). მოეწონვარ! ჰბედავს იმის თქმას, რომ მოვწონვარ! (სულით უჩვენებს კარებს). მიბძანდით! (გვრიტაშვილი ხმა-ამოუღებლად იდგებს ქუდს და მიდის. კართან ჩერდება. ნახევარ წამს ორივე ჩუმად შეჰყურებენ ერთმანეთს).

გვრიტ. (გაუბედავად წამოვა ფერაძის ქვრივისაკენ). გამიგონეთ... თქვენ სწყრებით კიდევ... მეც საშინლად გაცეცხლებული ვარ, მაგრამ საქმე... რა ჰქვია, როგორც მოგეხსენებათ, როგორ.. (ჭუვირის) ფუ, დალახვროს ღმერთმა ეშმაკი! რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, თუ-კი მომწონხართ! (სტაცებს ხელს სკამს; სკამს გაჰქვს ჯრიალი და იმტვრევა). ეს რანაირი ავეჯი გქონიათ, თქვე დალოცვილო; იმტვრევა ყინულივით! მომწონხართ-მეთქი, მოგახსენებთ! გაიგეთ? თითქმის შე... შეყვარებულიც-კი ვარ!

ფერაძისა. მომშორდით, მძულხართ!

გვრიტ. ღმერთო, რა ქალია! არ მოვსწრებივარ ამის მსგავსს! დავიღუპე, ისე თქვენი მტერი დაღუპულა! თაგვივით გავები მახეში.

ფერაძისა. მომშორდი, თორემ ხმალს დაგკრავთ!

გვრიტ. დამკარით, ბატონო! ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა იმისთვის, ვისაც მოჰკლავს და დაადნობს მაგ მშვენიერის თვალების ელვა და ეშხი, ვისაც გაუპობს ხანჯლით გულს ეგ პაწია, ფაფუკი ხელი... ეგიქდები, მეტი აღარა ვარ! მოიფიქრეთ ეხლავე და გადაწყვიტეთ, რადგანაც აქედამ თუ გავედი, ველარასოდეს ვერ ენახავთ ერთმანეთს! გადაწყვიტეთ... აზნაური გახლავარ, რიგიანი კაცი, ორას თუმნამდის შემოსავალი მექნება წელიწადში... ღმერთმა მტერიც აშორეს ჩემს ხმალსა ღა დამბაჩას: მოუკლავს არ გადავარჩენ... მიყვარს კაი ცხენი და კაი მწევარ-მეძებარი... მიკადრებთ ქმრად, თუ არა?

ფერაძისა. (გულ-ადშფოთებით აქნევს მაღლა ჭაერში ხმალს) ხმალმა გაგვასწოროს, ხმალმა!

გვრიტ. სწორედ ჭკუიდამ შეეშალე... აღარაფერი მესმის... (ჭუვირის) ეი, ბიჭო, წყალი!

ფერაძისა. (ჭუვირის) ხმალში გამობძანდით, ხმალში!

გვრიტ. ჭკუიდამ შეეშალე, ბრიყვივით და ყმაწვილივით გამიტაცა სიყვარულმა. (სტაცებს ხელში ფერაძისას; ფერაძისა შეჰკივლებს ტკივილის გამო). მიყვარხართ! (იჩოქებს მუხლებზე) ასე ჩემს დღეში არავინ მყვარებია! თორმეტი ქალი მიმიტოვებია, ცხრას მიუტოვებივარ, მაგრამ თქვენსავით ერთიც არ მყვარებია... ისევ შემიპყრო ძველმა სენმა და სახადმა, ისევ თაფლი გადმომდის პირიდამ, სულელივით დაჩოქილი ვარ თქვენს წინაშე და შეგაყვედრებთ ჩემს გულსა და ბედს... სირცხვილია, თავს ლაფდასხმაა! ჩემმა მტერმა გამოსცადა ის საძაგელი მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიაც ახლა ვიმყოფები! ხუთი წელიწადია აღარავინ მყვარებია, აღთქმა დავსდევი, აღარ შეეიყვარებმეთქი და აი, დახე ეშმაკის მანქანას! გავები მახეში პატარა ბღარტივით! გთხოვთ მიქმრეთ-მეთქი! გინდათ, თუ არა? არ გინდათ? არ არის საჭირო! (წამოდგება და სჩქარად მიდის კარებისაკენ).

ფერაძისა. მოიცადეთ...

გვრიტ. (შეჩერდება) რას იტყვით?

ფერაძისა. არაფერს, მიბძანდით... მაგრამ არა, მომითმინეთ... წადით, წადით! მძულხართ! ნუ... ნუ წახვალთ! აჰ, რომ იცოდეთ, რა აეს გულნებაზე... დედა, დედა, რა აეს გულნებაზე ვარ! (დაჯდება ტახტზე ხმალს) თითები დამისივდა ამ საძაგლობისაგან.. (ჭგლეკს გაჯავრებით ცხვირსახოცს). რას სდგახართ? გამეცალეთ.

გვრიტ. მშვიდობით.

ფერაძისა. წადით, წადით... (ჭუვირის) სადღა მიდიხართ? მოიცადეთ.. აჰ, რა აეს გულზე ვარ! არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ!

გვრიტ. (მიუახლოვდება) რა გაჯავრებული ვარ ჩემს თავზე! ბავშვივით გამიტაცა სიყვარულმა, დაჩოქილი ვიყავი... ჟრუანტელი მიელის ტანში. (ტლანქად) მიყვარხართ! ნეტა რა საჭირო იყო, რომ შემიყვარდით! ხვალ სარგებელი უნდა შეეიტანო.. სხვა ათასი საქმე მაქვს და აქ კიდევ თქვენ გამიჩნდით... (მოჭყვეტს წელში ხელს). არასოდეს არ ეპატიებ მაგას ჩემს თავს...

ფერაძისა. გამეცალეთ აქედამ! ხელი იქით! მძულ...ხართ! ხმალში... გა...მოდით! (გაგრძელებული კოტნა).

V

ისინიც, შემოდიან ვარდისახარ და გოგო-ბიჭები: ზოგს თოფი უჭირავს ხელში, ზოგს კეტი და ზოგს ნაჯახი.

ვარდისახარ (რა დაინახავს ქალბატონისა და გვრიტაშვილის კოტნას). წმინდაო გიორგი, ქალწულო მარიამ! (სიჩუმეა ტოტა ხანს).

ფერაძისა (მორცხვად დაუშვებს ძირს თვალებს). ვარდისახარ, უთხარი, რომ დღეს სულ ნუ მისცემენ ლუკმას ქერს.

გრ. ვოლსკი

ლი. ბრალდებულმა იმითიც მოუმართა ხელი მკელელთა საქმის სისრულეში მოყვანას, რომ „აბხოდი“, რომელიც მთაწმინდაში იდგა სადღაც, ძირს გაჰგზავნა, შეუთვალა, გოლოვინის პროსპექტისაკენ ჩადითო. თუ არ წინამძღვრიშვილი, ავაზაკები ვერასოდეს ვერ გაჰბედავდნენ ისე შეუპოვრად, ისე თამამად ადამიანის მოკვლას იმისთანა ადგილას. გამოძიებიდგანვე გამოაშკარავდა, რომ ადვილად სარწმენია წინამძღვრიშვილს ცოლის თავიდგან მოშორება სდომებოდეს, რადგან ცუდი ცხოვრება ჰქონდათ, ღარიბები და ვალებში ჩაფლულები იყვნენ, ცოლი ანჩხლი იყო, ურიგოდ ეკიდებოდა ქმარს, ჭლანძღავდა, ითვრებოდა, იმათს სახლში დღე ყოველ ჩხუბი იყო და ამას გარდა ავის ზნის სატკივარიც ჰქონდა, რის გამოც ქმარი არ ეკარებოდაო. თუმცა ზოგიერთმა მოწმემ უარ-ჰყო ასეთი ცხოვრება ბრალდებულისა მოკლულთან და სთქვა, რომ სამაგალითო ცოლ-ქმრობა ჰქონდათ, მშვიდობიანად სცხოვრობდნენო, მაგრამ ეს სიტყვები ვერც ერთმა-კი ვერ დაამტკიცა. ან საიდგან დაამტკიცებდნენ, ნამდვილი ცხოვრება წინამძღვრიშვილისა საიდგან ეცოდინებოდათ, სტუმრად დადიოდნენ იმათსას, სულ ერთს, ან ორს საათს რჩებოდნენ და შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ. აშკარაა, რომ ოჯახობრივის ცხოვრების კულისები, შინაური ამბავი იმათთვის დაფარული უნდა ყოფილიყო და ვერცვერას გაიგებდნენ. ამიტომ ამ საქმეში ჩვენ მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომელთაც უფრო ხანგრძლივ უცხოვრიათ წინამძღვრიშვილებთან და უფრო დაახლოებით გაუცნიათ იმათი ცხოვრება და რომელნიც ჰმოწმობენ, რომ ოლგა წინამძღვრიშვილისა არა-ნამუსიანი დედაკაცი იყო და ითვრებოდა ხოლმეო.

ეი ეს გარემოებანი კვლავ საბუთს მაძლევს დამნაშავედ აღვიარო ორივე დამნაშავე და გთხოვოთ: რადგან ეიუბ-სალა-ოღლიმ პირველშივე აღიარა გულ-გამოტეხით თავისი დანაშაული და ამას გარდა არა-სრულწლოვანია, სასჯელი შეუმსუბუქოთ, ჩამოართვათ ყოველივე ქონებრივი ღირსება და რვა წლით კატორგაში გაჰგზავნოთ. ხოლო წინამძღვრიშვილს, ეათარცა წამქეზებელს მკელელობისას, ჩამოერთვას ყოველივე ქონებრივი ღირსება და კატორგაში გაიგზავნოს 20 წლით.

უცხოეთი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ერთი გერმანული გაზეთი, სახელდობრ „Grenzboten“-ი ამბობს, რომ ტეუფლად ავრცელებენ ხმას, კითომ ბისმარკი მოხუცდა და გონების ძალა გამოელიაო. ეს აზრი გავრცელებულია არა მარტო თავისუფალ მოაზრეთა შორის, არამედ კონსერვატორებსა და ნაციონალ-ლიბერალებ შორისაც. გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ პირველნი ხარობენ ბისმარკის დაუძლურების გამო, ხოლო მეორენი მწუხარობენ. ჩემის აზრით-კი, ერთნიც სცდებიან და მეორენიც. ბისმარკის გონება ისევ ძლიერია და ამ სახელმწიფო კაცს ჯერ კიდევ დიდხანს შეუძლიან განაგოს სახელმწიფოო. გაზეთს სიბუთებიც მოჰყავს თავისის აზრის დასამტკიცებლად და, თუ ეოველი საბუთი უეჭველი არ არის, ზოგიერთი მათ შორის ეურადღების ღირსია. აი ერთი ამისთანა საბუთი: როცა მოხუცი კიდჰელმი გარდაიცვალა და ტასტზე ავიდა იმისი შვილი ფრიდრის III, ბისმარკი დიდს გაჭირვაში ჩავარდა. ბისმარკმა შეატყო თავისს ბატონს, რომ იმისი გული და სული სულ სხვა იდეალებს ეტანებოდა, კიდრე თვით ადგა წინად. ეს გარემოება მით უფრო საშიში იყო მისთვის, რომ ავადმყოფი იმპერატორი ჩქარობდა და უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე განსორციელებინა თავისი გულითადი სურვილი. კანცლერი ჭსდავდა, რომ ეოველივე, რასაც მან შეალია თავისი ძალა და ღონე, ახლა შეირყა და აპირობს დანგრევასაო, ეველგან სმა ამაღლეს გერმანიის მტრებმა, ეველგან იმედი მიეცათ, რომ ახლა-კი თავს დაიხსნით კანცლერის რკინის ხელიდამაო, ჯარიც კი შეირყა და მშვიდობის ქადაგებით გაშტერებული ემზადებოდა მოახსნა მძიმე საჭურველი. აი ასე შეირყა ეოველივე მაშინ და ამ საეოველთაო რეკვის დროს მხოლოდ კანცლერი იდგა მტკიცედ, არ ისრიდა ქედს და ეწინააღმდეგებოდა ახალს ქარტეხილს. არას დროს ბისმარკს იმდენი არ უმუშავნია, რამდენიც მაშინ. ჭეეანა ეურ-გამახვილებული შესტქროდა მაშინ ბისმარკს, რომელიც სიტყვას სიტყვაზედ წარმოსთქვამდა პარლამენტში, სწერდა მოსახსენებელს წერილებს ათ-ათ თაბახობით, უგზავნიდა დარიგებას გერმანიის წარმომადგენლებს საზღვარ გარეთ, თათბირობდა იმპერატორთან და დედოფალთან, ჭიჭობდა პარლამენტის მეთაურებ შორის, თვალეურს ადევნებდა მომავლინარე საქმეებს. ამისთანა მშრომელს კაცზე განა შეიძლება ითქვას, რომ ძალა გამოელია და აღარ შეუძლიან განაგოს სახელმწიფო საქმეებიო.

დეპეშა

25 აპრილი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფ ტოლსტოი გარდაიცვალა დღეს ნაშუადღევის 4¼ საათზე.

გუშინ სერბიის მიტროპოლიტი მიხეილი გაემგზავრა პეტერბურგიდამ.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ საქმე სამეფო მატარებლის დამსხვრევის გამო გარჩეულ იქმნება ოქტომბერშიო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გუშინ მშვენიერად იყო გაჩირაღლებული კიდეები სენისა; აუარებელი ხალხი სეირნობდა ქუჩა-ქუჩა; შუშხუნები კარგა დაბინდებისას აუშვეს. ბოლოს ბენგალის ცეცხლით იქმნა განათებული ეიფელის კოშკი. ამ სანახავმა ყველა გააოცა. გამოფენის დაწყებაზედ იყვნენ ყველა წვერნი სადიპლომატო კრებულისანი. არ იყვნენ მხოლოდ წარმომადგენელნი ავსტრი-ვენგრიისა და რუსეთისა. საოცარი სანახაობა იყო შუა შენობა: ჭნახავდით მრავალ გვარ მუნდირებსა და ტანისამოსს ყოველ ერისას. საზოგადოება დიდს აღტაცებას აცხადებდა ყოველ განყოფილების დათვალიერების შემდეგ; მაშინების ფარდულში ხალხს დიდი სიხარული და აღტაცება დაეტყო; ყველამ ქუდები მოიხადა და იქნევდა, რაც შეეძლო. როცა პრეზიდენტმა დაიწყო დათვალიერება უცხოელების განყოფილებათა და მიუახლოვდა რუსეთისას, დაიწყეს ძახილი: „გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს კარნოსაო!“

26 აპრილი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გრაფ ტოლსტოი ავად გახდა წარსულს ოთხშაბათს, გრაფმა იგრძნო უძლურება, და სუნთქმა გაუჭირდა, რაიცა რამდენისამე წლის განმავლობაში სჭირდა იმ დღის საღამოს ტკივილი იგრძნო მარჯვენა გვერდში და აღმოჩნდა, რომ გრაფს ფილტვების ანთება მოუვიდა. კიდევ 21-ს აპრილს, პროფესორი ზახარინი მიხვდა, რომ გრაფის მდგომარეობა საშიშია. ტკივილი თანდათან უძლიერდებოდა; 25-ს ამ თთვეისას-კი ტკივილი დაუშუშდა, ხოლო გულის ცემა-კი ძალიან საშიში შეექმნა. ყველა საშუალება უქმი გამოდგა და გრაფი გარდაიცვალა გულის დამბლისაგან. გრაფი სკვდილის ქამა სრულს ცნობაში იყო. გუშინ, საღამოს რვა საათსა და ნახევარზე, გადაიხადეს პირველი პანაშვიდი გრაფის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დესწრნენ ზოგი მინისტრი, სინოდის ობერ-პროკურორი და სხვა წარჩინებულნი კაცნი.

„Гражданинъ“-ი იუწყება! რომ განზრახვა აქვთ პატენტის ფასი ასწიონ ღვინის საწყობებზე; მეორე ხარისხის ადგილებში 50% და მესამე ხარისხისაში—ორად. აგრეთვე ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა დაადგინოს წესი სპირტის შენახვისა და დაწმენდისა.

ᲙᲐᲜᲜᲘ. მისი უმაღლესობა მარია პავლეს ასული წავიდა პეტერბურგს. მისი უმაღლესობა იტალიით გაიელის. ქალაქ მილონამდე თან გაჰყვება ჰერცოგი მეკლენბურგისა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲔᲐ, 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.

	მეოდ�ს.	გაზეთვა-ლისა.	გაუდგ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 51
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	149½
მანათიანი ვერცხლის ფული	1 13	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	269¾	— „	— „
—მეორისა	— „	— „	243
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საერთო-ერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲒᲐᲜᲘ

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა	3½	„
„ 2 „	3	„
თორნის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3½	„
ჭვარის მაძის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა	5	„
მე-2 ხარისხისა	4	„
მე-3 —	„	
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა	12	„
ღორის ხორცი	„	„
„ 2 „	„	„

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმით და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლოკრანციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი ძანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახლებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერ. გერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—13)

სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—5)

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	მან.	კაპ. 60
თორნიგ ერისთავი	1	
საუმაწვილო ლექსები	40	
ნინო ორბელიანის ლექსები	40	
პატარა მოამბე. ალექსანდრეშვილისა	10	
თამარიანი, გუგუნავასი	10	
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი	3	
რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე	3	60
თამარ-ცბიერი, აკაკისა	„	50
გრიგოლ ორბელიანის ლექსები	„	50
ნ. ბარათაშვილის ლექსები	„	40
სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა.	„	25
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გულიკერის მოგზაურობა	„	50
სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა	„	30
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა	„	40
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა	„	20
დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ს. ფურცელაძისა	„	10
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„	45
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე)	3	50
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	„	50
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ვაზის ობი	„	10
ლოცვანი, ღამაშაიძისა	„	30
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა.	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	„	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ.	1	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	20

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ᲤᲐᲡᲘ:

12 თთვით	10 მ.—კ.		6 თთვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „		5 „	5 „ 25 „
10 „	8 „ 75 „		4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „		3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „		2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „		1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „იბერიას“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარდ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკეეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ეინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკეეთა ეინმეს გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მოთხუ გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

Дозв. ценз. Тифлисъ 26-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე